



ქ. ზუგდიდი

5 აგვისტო 2016 წ

**ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №22**

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის მშენებლობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 სექტემბრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის მშენებლობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 5 სექტემბრის №23 დადგენილებაში (სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ ს/ნ 11/09/2014 010260020.35.105.016169) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 3. სამსახურის ფუნქციები

სამსახური დადგენილი წესით უზრუნველყოფს:

ა) ზუგდიდის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და ახლის მშენებლობის შესრულებაზე ინსპექტირებას, მიღება-ჩაბარებას და კონტროლს;

ბ) შემსრულებელი ორგანიზაციისა და ფიზიკური პირების მიერ წარმოდგენილი სამშენებლო დოკუმენტაციის შესწავლასა და ვიზირებას;

გ) ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და ახლის მშენებლობაზე შესაბამისი სამსახურის მიერ წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე არსებული პრობლემების შესწავლას;

დ) შემოსული წერილებისა და მოქალაქეთა განცხადებების საფუძველზე პრობლემების მონაცემთა ბაზის ფორმირებას;

ე) საპროექტო-სამშენებლო დოკუმენტაციის შედგენაზე ინსპექტირებას, მიღება-ჩაბარებას;

ვ) შესასრულებელი სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას;

ზ) სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტების შედგენის მომენტში არსებული ფასების შესაბამისობაში მოყვანას;

თ) შემსრულებელი ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების მიერ წარმოდგენილი სამშენებლო დოკუმენტაციის შესწავლას, მომზადებას და გადაცემას შესაბამის სამსახურებზე;

ი) განსახორციელებელი სამუშაოების სატენდერო დოკუმენტაციების მომზადებას და შესაბამისი სამსახურისთვის გადაგზავნას;

კ) შიდა სამსახურეობრივი წერილების, აქტებისა და სხვა დოკუმენტაციებზე კონტროლს;

ლ) მოქმედი კანონმდებლობით, გამგეობის დებულებით და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებას.“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.


საქართველო, ზუგდიდი
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე